

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	50038	6326	19544
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	484570	322387	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	206722	609051	424325
მზა პროდუქცია	98989	169590	343122
სხვა	107733	439461	81203
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	27611	39199	20939
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	0	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	12054	12054	12054
სულ აქტივები	780995	989017	476862
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	42912	7001	21093
სულ ვალდებულებები	42912	7001	21093
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაქეტო კაპიტალი')	204067	612285	211714
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	534016	369731	244055
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	738083	982016	455769
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	780995	989017	476862
სულ მოკლევადიანი აქტივები	768941	976963	464808
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	42914	7001	21093

დირექტორი



/ნ. ტყეშელაშვილი/

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	22242134	14742066
საქონლის გაყიდვიდან	22209453	14723679
მომსახურების გაწევიდან	21867	18387
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	10814	0
გაყიდვების თვითღირებულება	-21524589	-14419520
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	717545	322546
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	92139
დასაქმებულთა ანაზღაურება	-54750	-33780
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-498510	-255229
სულ საოპერაციო ხარჯები	-553260	-196870
საოპერაციო მოგება	164285	125676

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	164285	125676
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	164285	125676

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დად	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	164285	125676
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	982016	455769
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-408218	400571
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	738083	982016

დირექტორი



/ნ. ტყეშელაშვილი/

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულა	50114	-7526
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფ	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	50114	-7526
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-6402	-5692
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6326	19544
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	50038	6326

დირექტორი  /ნ. ტყეშელაშვილი/

1. ძირითადი ინფორმაცია

კომპანიის დასახელება:

შპს „ვანი ნაუტსი“ (LLC Vani Nuts)

საიდენტიფიკაციო კოდი: 429650889

კომპანიის დაფუძნების წელი: 2015

- კომპანია დაარსების დღიდან ეწევა ნაჭუჭგაუცვლელი თხილის შესყიდვას, გადამუშავებას და ექსპორტს ევროპის ქვეყნებში და ადგილობრივ ბაზარზე. კომპანიას იჯარით აქვს აღებული საწარმო ვანის რაიონის სოფ ამაღლებაში..

საწარმო მიმდინარე ეტაპზე აწარმოებს შემდეგი ასორტიმენტის პროდუქციას:

- ❖ მთავარი პროდუქცია- ნაჭუჭგაცლილი თხილი (თხილის გული)
- ❖ მეორადი (ნარჩენი) - პროდუქცია-დაბალი ხარისხის თხილის გული
- ❖ მეორადი (ნარჩენი) - პროდუქცია-თხილის ნაჭუჭი
- ❖ მოხალული და დაქუცმაცებული თხილის გული
- ❖ თხილის ფქვილი

2. კომპანიის მფლობელობა, მენეჯმენტი და პერსონალი

კომპანიის მფლობელი და დირექტორი: ნუგზარ ტყეშელაშვილი (პ/ნ 17001007032

ორგანიზაციის ისტორია და იურიდიული სტატუსი:

კომპანია დაფუძნებულია 2015 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტატუსით. პირველი პროდუქცია გამოშვებულ იქნა 2016 წელს

საკვანძო პერსონალი ფუნქციების მიხედვით:

ამჟამად შტატში 7 ადამიანია. დირექტორი, წარმოების უფროსი, საწყობის გამგე, ბუღალტერი, ელექტრიკოსი, ექსპედიტორი, ოპერატორი დანარჩენი პერსონალი არის დროებით დაქირავებული.

თანამშრომელთა რაოდენობა:

მიმდინარე ეტაპზე კომპანიაში დასაქმებულია 25 თანამშრომელი.

თხილის დამხარისხებელ თანამშრომელთა რაოდენობა იცვლება სეზონის და პროდუქციის წარმოების მოცულობის შესაბამისად

3. ფინანსური საქმიანობის და სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის ძირითადი პრინციპები:

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (ბასს) შესაბამისად

ინფორმაციის დამუშავება ხორციელდება ბუღალტრული პროგრამა ორისის მეშვეობით

ანგარიშსწორების (საოპერაციო) ვალუტა წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში - ლარი

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება მუდმივი აღრიცხვის მეთოდით;

ფინანსურ და საგადასახადო აღრიცხვაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ცვეთის თანხით შემცირებული თვითღირებულებით

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება-ასახვა ხორციელდება დარიცხვის მეთოდით

ფულადი სახსრები წარმოდგენილია სალაროში და ანგარიშსწორების ანგარიშებზე არსებული სახსრებით

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. დაარსების დღიდან კომპანიის სხვა საწარმოებთან შერწყმა, ან სხვა საწარმოს შექმნა არ მომხდარა.

საანგარიშო პერიოდისათვის საქმიანობის სახეობაში ცვლილებები არ მომხდარა. ლიცენზიის ან პატენტის შექმნა არ განხორციელებულა.

საწარმოს კვლევა განვითარებაზე დანახარჯები არ ჰქონია..

მნიშვნელოვან მოვლენებს, გადაწყვეტილებებს, რაც გამოიწვევდა ფინანსური მდგომარეობის არსებით ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

სასამართლო პროცესი: საზოგადოებას ანგარიშგების თარიღისათვის არ გააჩნია სასამართლო დავა.

საქმიანობის შეჩერებას ადგილი არ ჰქონია.

ხარჯების ზრდა: მნიშვნელოვანი ცვლილება არ ყოფილა.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში,

დაკავშირებული მხარეები და ურთიერთობები: ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებას ინფორმაცია არ გააჩნია

➤ ფულადი სახსრები

ფულადი სახსრების მოძრაობაში მოცემულია წლის განმავლობაში საერთო ჯამური ფულის შემოძინებისა და გასვლის მაჩვენებლები

წლის საწყისი და საბოლოო ფულადი სახსრები წარმოადგენს მოცემულ პერიოდში საწარმოს განკარგულებაში არსებულ სახსრებს ეროვნულ ვალუტაში

4. პროდუქტები

გამოშვებული პროდუქციის აღწერილობა:

ა) ნაჭუჭგაცლილი თხილი (თხილის გული), მოხალულ-ბლანშირებული, მოხალულ-დაქუცმაცებული თხილის გული და თხილის ფქვილი სათანადო ტენიანობით

ბ) თხილის ნაჭუჭი და დაბალი ხარისხის თხილის გული.

■ სარეალიზაციო პროდუქციის შეფუთვა:

პროდუქციის შეფუთვა ხორციელდება მყიდველის დაკვეთის შესაბამისად

შესაფუთი ტარა წარმოდგენილია შემდეგი ასორტიმენტით:

ა) პოლიპროპილენის ტომრები ტევადობით 40 და 50 კგ


ბ) სელის ტომრები ტევადობით 40, 50 და 80 კგ

გ), Big-Bag-ის პოლიპროპილენის ტომრები ტევადობით 1000 (ერთიათასი) კგ

დ) მუყაოს ყუთები

თხილის ღირებულებათა ჯაჭვი

საქართველოს თხილის ღირებულებათა ჯაჭვში ამჟამად შემდეგი ძირითადი რგოლი მონაწილეობს:



ადგილობრივი მოთხოვნისა და საექსპორტო ბაზრის მოკლე ანალიზი:

აღნიშნულ პროდუქციაზე მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზე მცირეა, რადგანაც ძირითადად კულინარიაში, ტკბილეულის დამამზადებელ საწარმოებში და მზა სახით საკვებ ნუგბარად გამოიყენება და მას გლეხები და მცირე ზომის საწარმოები აკმაყოფილებენ. თხილის გულის იმპორტის თვალსაზრისით გერმანია ლიდერობს, რომლის შემდეგაც იტალია და საფრანგეთი არიან.

გასაღების ბაზრების გეოგრაფია:

ძირითადი კლიენტები არიან: Schlüter & Maack Handelsgesellschaft G.m.b.H.I, გერმანია

გაყიდვების გეოგრაფია:

გაყიდვების გეოგრაფია არ შეცვლილა და არის ევროპის ბაზარი, კერძოდ: გერმანია,

გაყიდვების სეზონურობა:

თავად პროდუქტებზე მოთხოვნა სეზონურობით არ ხასიათდება. მასზე მოთხოვნა მუდმივად არსებობს, მაგრამ გამომდინარე ნედლეულის მოსავლის სეზონურობიდან ფასები და რაოდენობაც ამის მიხედვით იცვლება. გაყიდვები ხასიათდება სეზონურობით ნედლეულის მოსავლის სეზონურობიდან გამომდინარე. აქტიური პერიოდია აგვისტო, დეკემბერი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი - საშუალო აქტიურობით ხასიათდება. ივნის-ივლისში ნედლეულის მარაგი პრაქტიკულად ამოწურულია.

დისტრიბუციის მეთოდის მოკლე აღწერა:

უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქციაზე არ არსებობს დისტრიბუციის მეთოდიკა, რადგანაც პროდუქცია მიეწოდება წინასწარ განსაზღვრულ მყიდველს. ტრანსპორტირების ძირითად მეთოდს საავტომობილო გადაზიდვა წარმოადგენს.

5. წარმოება და ძირითადი მატერიალური საშუალებები:

საწარმოო პროცესის დეტალური აღწერა:

საწარმოო პროცესი იწყება გაუტეხავი თხილის (ნედლეული) შესყიდვით მოსახლეობისაგან. ახალი ნედლეულის ტენიანობის მაჩვენებელი დაახლოებით 30-35%-ია. თავდაპირველად ხდება თხილის გამოშრობა. თხილის ტენიანობა ევროპული სტანდარტით 5.5-6%-ს არ უნდა აღემატებოდეს. . გამოშრობა ხორციელდება ორი მეთოდით: ბუნებრივი და ხელოვნური. ბუნებრივია თხილის მზეზე გაშრობა. გაშრობის ამ სახეს ხელს უშლის უამინდობა. ხელოვნურად თხილის გაშრობა ხორციელდება საშრობში, რომელიც წარმოადგენს სპეციალურად მოწყობილ დანადგარს, სადაც მიმდინარეობს თხილის ინტენსიური მორევა თავად დანადგარის მიერ. თითოეულ საშრობში შეიძლება ერთდროულად საშ. 8-10 ტონა თხილის გაშრობა. ორივე შემთხვევაში ხდება ტენიანობის ინტენსიური გაზომვა გადამშრობის თავიდან აცილების მიზნით. გადამშრობა წარმოადგენს დანაკარგს საწარმოსთვის. ასევე გადამშრალი თხილის შემდგომი გადამუშავება პრობლემატურია (გატეხვის პროცესში მოსალოდნელია თხილის გულის მსხვრევა) და ასეთი პროდუქტი კარგავს ღირებულებას.

დამუშავების შემდგომ პროცესს წარმოადგენს სტანდარტით განსაზღვრული ტენიანობის მქონე თხილის დაკალიბრება. ამას კალიბრატორი ახორციელებს, საიდანაც სხვადასხვა ზომის თხილი გადადის კალიბრების მიხედვით რეზერვუარებში.

რეზერვუარებიდან თხილი მიეწოდება წისქვილს დასამტვრევად. დამტვრევიდან მიღებული ნედლეული გადადის სპეციალურ გამწენდში, სადაც ხდება თხილის გულის დასუფთავება ნაჭუჭისგან. შემდეგ თხილის გული გადადის გულის კალიბრატორებში, საიდანაც დაკალიბრებული გული ზომების (კალიბრების) მიხედვით გადადის თხილის გულის რეზერვუარებში. დაკალიბრებული თხილის გული მიდის გადასარჩევ მაგიდებზე ზომების მიხედვით, სადაც ხდება ხელით გარჩევა ანუ დასუფთავება და მოყვანა სტანდარტულ სახემდე. ეს პროცესი ხორციელდება გადამრჩეველი პერსონალის მიერ. საბოლოოდ გადარჩეული თხილის გულის შეფუთვა ხორციელდება დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

■ გაუტეხავი თხილისა და თხილის გულის წარმოების ტექნოლოგიური ბლოკ-სქემა

- თხილის მიღება
 - ბუნებრივი შრობა
 - თხილის მექანიკური შრობა
 - გამშრალი თხილის დასაწყოება
 - გაუტეხავი თხილის კალიბრაცია- საბოლოო პროდუქტი- გაუტეხავი თხილი
 - თხილის დამტვრევა
 - თხილის გულის კალიბრაცია
 - თხილის გადარჩევა-საბოლოო პროდუქტი -თხილის გული,
 - მეორეული პროდუქტი-თხილის ნაჭუჭი
 - მეორეული პროდუქტი -დამპალი თხილი,
 - ნარჩენი (თხილის მტვერი)
 - შესაფუთი მასალის მიღება-დაფასოება
 - დასაწყოება
 - ტრანსპორტირება

გარჩეული (დასუფთავებული) თხილის გულის ნაწილი მიეწოდება მოსახალ-დასაფქვავ საამქროს, შემდგომი საწარმოო გადამუშავებისათვის. მოხალვის პროცესში თხილის გული კარგავს რაოდენობის 8-11 %-ს. პირველადი პროდუქცია რომელსაც ვღებულობთ ამ პროცესის დროს არის მოხალულ-ბლანშირებული თხილის გული, შემდგომ ეტაპზე, საწარმოს მოცემული მომენტისათვის არსებული შეკვეთის შესაბამისად ხდება მოხალული თხილის გულის დაჭრა-დაქუცმაცება და ფქვილის მიღება, დაჭრილის კალიბრაცია წარმოდგენილია ზომებით 2-4 მმ, 4-6 მმ, ხოლო თხილის ფქვილი 0-2 მმ.

■ მოხალული, ბლანშირებული, მოხალულ-დაჭრილი თხილის გულის და თხილის ფქვილის წარმოების ტექნოლოგიური ბლოკ-სქემა

- თხილის გულის მიღება
- დასაწყოება
- ბუნკერში ჩაყრა
- მოხალვა
- გაფქვენა/ბლანშირება -თხილის მტვერი (ნარჩენი)
- გადარჩევა
 - საბოლოო პროდუქტი - მოხალული ბლანშირებული თხილი
 - ◆ დაჭრა ზომებად 2-4მმ, 4-6 მმ
 - ◆ დაფქვა ზომად 0-2 მმ
 - საბოლოო პროდუქტი-მოხალული-დაჭრილი თხილი, თხილის ფქვილი

- შესაფუთი მასალის მიღება შეფუთვა/ეტიკეტირება
- დასაწყობება
- ტრანსპორტირება

➤ **მიღებული პროდუქცია ფასოვდება შემდეგი სახით:**

მოხალულ-ბლანსირებული თხილის გულის შეფუთვა ხორციელდება სხვადასხვა ტევადობის პ/ეთილენის ან სელის ტომრებში დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად. დაჭრილ-დაქუცმაცებული და დაფუჭული თხილის გული იდება ვაკუუმ პაკეტებში, შემდგომ მუყაოს ყუთებში და იტვირთება ტრანსპორტზე სპეციალურ პალეტებზე

6. ნედლეული

6.1 საწარმო პროცესში გამოყენებული ძირითადი ნედლეულის აღწერა:

საწარმო პროცესში საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ერთადერთი ნედლეულია თხილი.

6.2. ნედლეულის მოწოდების წყაროების დახასიათება:

ნედლეულის ძირითად მომწოდებლებს წარმოადგენენ ადგილობრივი გლეხები, რომლებიც ფლობენ თხილნარებს

6.3. ადგილობრივი და იმპორტირებული ნედლეულის შედარებითი დახასიათება:


აღნიშნულ ბიზნესში ნედლეულის იმპორტირება არ ხდება, რადგანაც საქართველო თავად წარმოადგენს თხილის ექსპორტიორს.

7. მარაგები

მზა პროდუქციისა და ნედლეულის მარაგების მართვის სტრატეგია: ნედლეულის მარაგების მართვის სტრატეგია შემდეგია: კომპანია იღება იმდენ ნედლეულს გადასამუშავებლად, რამდენის რეალიზაციასაც აპირებს შემდეგი თვის მანძილზე და ასე შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე მზა პროდუქციის მარაგის მართვაც ხდება სარეალიზაციო რაოდენობის შესაბამისად.

8. შემოსავლისა და ხარჯების სტრუქტურა:

კომპანიის შემოსავლები იყოფა ხუთ ნაწილად, რომელთაგან ძირითადი არის: **მოხალული და დაქუცმაცებული თხილი და თხილის ფქვილი.** დაკალიბრებული, გარჩეული თხილის გული, ძირითადი პროდუქტის მიღების დროს წარმოქმნილ ფასეული ნარჩენები თხილის ნაჭუჭი და დაბალი ხარისხის თხილის გული. **რაც** შეეხება ხარჯებს კომპანიის ძირითად ხარჯს წარმოადგენს ადმინისტრაციული ხარჯი, რომელიც შედგება ხელფასებისაგან, როგორც ადმინისტრაციულ ისევე საწარმოო ნაწილში, ასევე კომუნალური ხარჯები. შესაფუთი მასალის ხარჯები და სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები,

დირექტორი  /ნ. ტყემელაშვილი/

